# ხაშურის მოამბე

№35(316) 8 ნოემბერი, ორშაბათი, 2021 წელი


## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობა ცნობილია

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. ცენტრალური საარჩევნო კომისია, ამჟამად საჩივრების განხილვის პროცესშია, მის დასრულებისთანავე კი საბოლოო შედეგები დაიდება, რის შემდეგაც ოფიციალურად გამოცხადდება ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის თარიღი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო შედეგები არ გამოცხადებულა, წინასწარი შედეგების მიხედვით, უკვე შეგვიძლია ახალი მოწვევის საკრებულოს შემადგენლობის დასახელება, რადგან, დიდი ალბათობით, საეჭვოა, რამე შეიცვალოს. მითუმეტეს, რომ არჩევნების პროცესში რაიმე ისეთი სახის საჩივარი არც ყოფილა, რომელსაც არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენა შეუძლია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში, ახალი მოწვევის საკრებულო 27 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი, წინა მოწვევის საკრებულოში 31 დეპუტატი იყო, შემცირება კი გამოიწვია ზოგიერთი მაჟორიტარული ოლქის გამსხვილებამ. საკრებულოში ოთხმა პარტიამ მიიღო მანდატი: "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", "გახარია-საქართველოსთვის" და "ლელო". აქედან, "ქართულ ოცნებას" საკრებულოში 16 დეპუტატი, "ნაციონალებს-8, "გახარია-საქართველოსთვის"-2 და "ლელოს"-1. "ქართული ოცნებიდან" მანდატებს მიიღებენ: ნინო ლიპარტელიანი, მიხეილ ჯანაშვილი, ალექსი ნოზაძე, თათია ბროლიძე, ნიკა თიკანაშვილი, დავით გელაშვილი, მარინე დიდებულიძე, ცოტნე ნოზაძე, მერაბ ცხოვრებაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ლევან გამრეკელი, ზაზა სხილაძე, მუხრან ჩადუნელი, მაყვალა მაისურაძე, ნოდარ ლომიძე, დავით მეტრეველი. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა": როინ მახარობლიძე, დავით გარადინსკი, ეკატერინე პაპუაშვილი, გიორგი ნოზაძე, ლელა ხარატიშვილი, გივი



ძამანაშვილი, ელენე ნოზაძე, შავლეგ დოლიძე. "გახარია-საქართველოსთვის"-შოთა კურტანიძე, ირინე გელაშვილი. "ლელო"-ომარ ლომიძე.

ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა სავარაუდოდ, 15-20 ნოემბრის ფარგლებში გაიმართება და პირველივე სხდომაზე დეპუტატები საკრებულოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და კომისიების თავმჯდომარეებს და კომისიის წევრებს აირჩევენ.



## სოფელ მონასტერში ბეტონის გზის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს

სოფელი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის და აქამდე, აქ საგზაო ინფრასტრუქტურა არასდროს მოწყობილა.

მერის მოვალეობის შემსრულებლის, ზვიად ქურდაძის განმარტებით,

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზაზე ბეტონის საფარის დაგება და სანიაღვრე არხების მშენებლობა.

აღნიშნულ პროექტს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი ერთობლივად აფინანსებს და ღირებულება 559 522.33 ლარს შეადგენს.

მოწყობილი ბეტონის გზით, 400 ზე მეტი ადგილობრივი და სტუმარი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცამდე გზის მოასფალტების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ ტკოცამდე გზის მოასფალტებას, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოების მეორე ეტაპი-ასფალტის საფარის მეორე ფენის დაგება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის-გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ასფალტის გზა არასდროს ყოფილა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის გარკვეულ ბარიერებს ქმნიდა, ამჯერად კი მოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გაუმჯობესებს.

სამუშაოებს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და ღირებულება 441 000 ლარს შედგენს.

სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ ტკოცამდე მოასფალტებული გზა, 1000- ზე მეტ ადგილობრივსა და სტუმარს მოემსახურება.



# ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების - მეორადი სტრუქტურული ერთეულის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება არის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი განყოფილება. განყოფილების ძირითადი მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

განყოფილებაში დღეისათვის დასაქმებულია სულ 26 საჯარო მოსამსახურე. განყოფილებაში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებიდან 26 პირიდან 7 პირი დასაქმებულია განყოფილებაში შემოსული კორესპონდენციის შესაბამისი ადრესატებისათვის, მათ შორის მერის წარმომადგენლებისათვის გადანაწილებაზე, ხოლო დანარჩენი 19 მოხელე დასაქმებულია აღნიშნული წერილების შესრულებაზე ადმინისტრაციულ ერთეულებში.

განყოფილება ზემოთნახსენები მიზნის შესრულებისას ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

მერის წარმომადგენელთა ინფორმირება/ მათთან კოორდინირებული ურთიერთობა სხვადასხვა საკითხების მოგვარებისათვის, მათ შორის:

1. მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადასტურება;
2. მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიება (დადგენილება, ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) ადმინისტრაციული ერთეულებსა და ხაშურის რეგიონული არქივიდან;
3. საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემული მიწის ნაკვეთების შესახებ შესაბამისი წერილების მომზადება;
4. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსზე მუშაობა (სტატუსის მინიჭებისათვის დოკუმენტაციის მომზადება, სტატუსის მონიტორინგი);
5. ხე მცენარის ადგილწარმოშობის ცნობებზე მუშაობა;
6. მეწყერით დაზიანებულ სახლებზე ინფორმაციის მომზადება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადაგზავნა;
7. საშეშე მერქნის სიების დაზუსტება, შუამდგომლობები ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან.
8. სამასალე მერქნის გამოყოფისათვის შუამდგომლობების მომზადება;
9. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარეთა შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოების და მოიჯარეებისათვის, წერილების მომზადება მიწის ნაკვეთების სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შესახებ;
10. სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელებული და მიმდინარე პროექტების და ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება;
11. მოქალაქეებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან განყოფილებაში მიღებული წერილების შესწავლა, შუალედური და საბოლოო პასუხების მომზადება;
12. მოქალაქეთა ცხოვრების ფაქტების დადასტურება.

განყოფილების თანამშრომლები ასევე ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს

1. მოსახლეობის ინფორმირება ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შესახებ და მათი კომუნიკაციის უზრუნველყოფა საკრებულოსთან და მერიასთან;
2. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და საკადასტრო აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენა და შესაბამისი ოქმის შედგენა;
3. საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის კონკრეტულ პირზე გაცემის შესახებ ინფორმაციის მოკვლევა/ გაცემის დადასტურება;
4. პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურებისათვის ადგილზე შემოწმება და ადგილზე შემოწმების ოქმის შედგენაში მონაწილეობა;
5. საკრებულოსა და მერიის თანამშრომლების მიერ მოსახლეობის წინაშე ანგარიშგების მიზნით მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების ორგანიზება;
6. სხვადასხვა კორესპონდენციის დამუშავება, ადგილზე მოკვლევა და პასუხების მომზადება;
7. განყოფილების თანამშრომლები ჩართულები არიან დასახლების საერთო კრების მოწვევის პროცესში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაში 2021 წლის 1 იანვრიდან, ოქტომბრის ჩათვლით, სულ შემოსული და დამუშავებულია 4196 განცხადება და წერილი, აქედან მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადასტურებისა და კომლის შემადგენლობისა და რიცხული ქონების შესახებ ასევე საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის შესახებ საჯარო რეესტრიდან 3485 წერილი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სტიქიით დაზიანებული ოჯახების შესახებ 2 წერილი, ადგილწარმოშობის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია მოქალაქეთა 35 განცხადება, ავარიული ხის მოჭრისა და ხეების გადაბელვის შესახებ შემოსულია 40 განცხადება, ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ, სს „სოკარ-ჯორჯია გაზში“ წარდგენის მიზნით - 386 განცხადება, საშეშე მერქნის მიმღებთა სიაში მოქალაქის შეყვანის შესახებ 25 განცხადება, მისამართების იდენტურობის დადგენის შესახებ – 15 განცხადება, სასოფლო სამეურნეო საიჯარო მიწის სასოფლო სამეურნეო მიზნით გამოყენების ცნობის - 4 განცხადება, დასახლების საერთო კრების გამართვის შესახებ - 1 განცხადება და 205 სხვადასხვა წერილი და განცხადება. (სულ განყოფილებაში დამუშავებულმა კორესპონდენციის მთლიანმა რაოდენობამ, შუალედურის ჩათვლით ამ პერიოდისათვის შეადგინა 14 520).

ჩატარდა მაღალმთიან დასახლებებში სტატუსის მართვის საბჭოს 8 სხდომა, სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადი შემოიტანა 52 მოქალაქემ, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 36 მოქალაქეს, მინიჭებაზე უარი ეთქვა - 12-ს, 6 საქმე განხილვის პროცესშია, ხოლო სტატუსი შეუწყდა 35 მოქალაქეს. სტატუსის შესახებ მომზადდა 53 საინფორმაციო წერილი. მერის წარმომადგენლების მიერ წლის დასაწყისში დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, მონიტორინგის მიზნით, გადამოწმებული იქნა 529 მოქალაქის სტატუსი. ამ დროისათვის აქტიური სტატუსი აქვს 1908 მოქალაქეს.

განყოფილების სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს მერის ინიციატივით მოწვეულ დასახლების 66 საერთო კრებისა და 11 კონსულტაციის მომზადებასა და ჩატარებაში.

ივანე ლოლაძე,
განყოფილების ხელმძღვანელი:

# ხაშურში, ცენტრალური-დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის რეაბილიტაციისთვის სამუშაოები უწყვეტად მიმდინარეობს



ამ ეტაპზე, გარე პერიმეტრზე ფილების დაგება მიმდინარეობს, რის შემდეგაც განხორციელდება შიდა ბილიკების ფილებით მოპირკეთება. პროექტის ფარგლებში, მოეწყობა თანამედროვე სტილის შადრევნები, დაიდგმება სკამები, რომლებზეც ქალაქის სახელი იქნება ამოტვიფრული, იქნება განათებები და სივრცე, რომელიც ყველა ადგილობრივისთვის თუ სტუმრისთვის საყვარელი ადგილი გახდება.

სამუშაოების ღირებულება 566698 ლარს შეადგენს.

პროექტი „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში ხორციელდება.

# ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33,34)

„1917 წელს, - იგონებს რევოლუციონერი არჩილ გიორგაძე, – როცა მეფე ჩამოაგდეს, უკვე დავამთავრე გორის სემინარია და ხაშურში ჩაველი. ამ დროს პარტიები იატაკქვეშეთიდან მაღლა ამოდიოდნენ. მე ჩავწერე სოციალურ-დემოკრატიულ პარტიაში (ამ დროს ხაშურში ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის დაყოფა არ იყო). მას ხელმძღვანელობდნენ ნიკიფორე იმნაიშვილი, თეიმურაზ ჭუმბურიძე, რომელიც იყო ხაშურის გიმნაზიის მასწავლებელი და კირილე ნინიძე“.

იგივეს წერს ხაშურელ ბოლშევიკთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი გრამიტონ მოწონელიძეც. მისი მოგონებებიდან ჩანს, რომ იგი თავიდანვე ბოლშევიკური განწყობით გამოირჩეოდა და ცდილობდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებში გათიშვის შეტანას ბოლშევიკების სასარგებლოდ.

„ხაშურში (ჩემი) ჩამოსვლის ხანებში, - აღნიშნავს იგი, – ეწყობოდა რკინიგზის ხაზზე აღმასრულებელ კომიტეტში. მუშების მოთხოვნით მე არჩეულ ვიქენი კომიტეტის წევრად. ამით მე განთავისუფლებული ვიქენი სხვა თანამდებობიდან და საშუალება მომეცა უფრო თავისუფლად მემოქმედა მუშაობის გასაღრმავებლად. ეჭვები მოიტანეს და გამანთავისუფლეს კომიტეტის წევრობიდან.

ხაშურელ ამხანაგებს გაუხარდათ ჩემი ჩამოსვლა, მაგრამ მე მკაცრად განუცხადე, რომ მე მათ არ ვეკუთვნოდი. ვარწმუნებდი, რომ იდეურად მათ არ ვეკუთვნი, მაგრამ შეუიარაღებულ ბრძოლას მათ წინააღმდეგ არ ვაწარმოებდი. ასე იყო საჭირო მათი სიფხიზლის მოსადუნებლად.

1917 წლის ბოლო რიცხვებში შევუდექი ბოლშევიკური ორგანიზაციის მოწყობას ცენტრთან კავშირის გარეშე. ხაშურის მოწინავე ამხანაგები ეკუთვნოდნენ სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიას და დიდი მუშაობა დამჭირდა, რომ მათი ნაწილი გადმომეყვანა ჩვენსკენ. პირველად შემიერთდნენ: ივანე ძაძამია, სოგრატ და ალექსანდრე ბარბაქაძეები, თომა ბარამიძე, გრიგოლ ღვინჯილია, ლენტო ქურდაძე, ევგენი ძინძიბაძე, ბერიაშვილი, პლატონ წიქრიძე, არჩილ გიორგაძე, შალამბერიძე, სიმონ კაპანაძე, სიმონ ბერაია, ალექსანდრე ბუხნიკაშვილი. ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ ვაცნობე ჩვენს არსებობაზე საგუბერნიო კომიტეტს. ამ რიგად მე პარტიასთან მივედი უკვე ორგანიზაციულად.

პირველი უჯრედი მოეწყო რკინიგზის დეპოში, შემდეგ ქალაქად და შემდეგ სოფლებში.

1918 და 1919 წლებში არ იყო დარჩენილი არც ერთი კუნჭული ხაშურის რაიონში, სადაც ჩვენი უჯრედი არ გვქონდა“

სოციალ-დეკომრატიულ პარტიას ადგილობრივ ორგანიზაციაში ბოლშევიკური მიმართულება თებერვლის რევოლუციის დროს არა თუ არსებობდა, არამედ რაიმე სერიოზული გავლენაც არ ჰქონდა მას მშრომელ მასებზე. ამ დროს ერთიან სდმპ 3-4-კაციანი ბოლშევიკური მიმართულების ჯგუფი, რომლებიც ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდნენ ვერც პარტიულ ცხოვრებზე და ვერც რაიონში მიმდინარე მოვლენებზე. ამ ჯგუფის გააქტიურება მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დაიწყო, თუმცა მათი საქმიანობა რაიმე რეალური შედეგით არ აღნიშნულა.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა მიმართული იყო ადგილებზე დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისა და დამკვიდრებისაკენ. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ეტაპზე ნაკლებად, ან საერთოდ არ მდგარა რაიონში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნის საკითხი. ეს მით უფრო, რომ მოძრაობის ავანგარდში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია იდგა და როგორც ცნობილია, ეს პარტია თავდაპირველად მოთხოვნით არ გამოდიოდა.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია 1917 წლის 6 აპრილს მოხისის სასოფლო საზოგადოებაში გამართული კრება, რომელსაც 21 სოფლის წარმომადგენელი ესწრებოდა. კრებაზე სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენლი ასე ამთავრებდა სიტყვას: „მოითხოვეთ, რომ თქვენი ბულბულისებური ენა გაისმოდეს ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში, ჩამოიშორეთ ძველი ნათავადაზნაურალები, მოითხოვეთ მიწა, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, თავისუფალ რუსეთში“, ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია: „არა, არ შეგვიძლია, ჩვენ რუსეთს ვერ დავშორდებით. რასაც რუსეთის ხალხი მოიპოვებს, ჩვენც ის გვინდა“

ისევე, როგორც მანამდე თებერვლის რევოლუციის დღეებშიც ხაშურის მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა.

„დაბა ხაშური, რომელიც დიდი ხნიდან ქართლის დედა-ბოძად არის ცნობილი, - აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა,“ - ყოველთვის რევოლიციონერის სულით იყო ხოლმე გაჟღენთილი, თავის წვლილი სახალხო მოძრაობაში შექონდა და თავისუფლების დროშაც ყოველთვის ამაყად ეჭირა ხელში. აი, დღესაც, ამ უმაგალითო აღფრთოვანების დროს მთელ ქართლში პირველად ხაშურმა იდღესასწაულა ახალი რუსეთის გამარჯვება. პირველად ხაშურმა მისცა სიგნალი ქართლის სოფლებს სადღესასწაულო ფერხულში ჩაბმისა“

8 მარტს ხაშურის თეატრის შენობაში შედგა სადგურ მიხაილოვოსა და ახლო მდებარე სადგურების რკინიგზის ყველა დარგის მუშებისა და მოსამსახურეთა კრება. ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელმა ნიკოლოზ იმნაიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება რუსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას აერჩიათ მუშათა დეპუტატების საბჭო.

კრებამ ერთხმად აირჩია ხაშურის მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელშიც 28 კაცი შევიდა. საბჭომ თავის მხრივ აირჩია 6 დელეგატი ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში წარსაგზავნად.

კრებამ მოსასალმებელი დეპეშა გაუგზავნა პეტროგრადის მუშათა და დეპუტატების საბჭოს და მის თავმჯდომარეს კარლო ჩხეიძეს.

მეორე დღეს, 9 მარტს, ხაშურში გაიმართა დიდი საზეიმო მიტინგი, რომლის ორგანიზატორიც სდმპ ადგილობრივი ორგანიზაცია იყო. გაზეთმა „ერთობამ“ საკმაოდ ვრცლად ასახა 9 მარტის მოველენები ხაშურში: „ძველი მთავრობის დამხობამ და ახლის შედგენამ, - აღნიშნავდა გაზეთი – ხალხში განუსაზღვრელი ზეიმი გამოიწვია. ტვირთ-მძიძეთა ბანაკში თავისუფლების ზარმა ჩამოკრა. ბორკილებახსნილმა ქართლის მოქალაქეებმა 9 მარტს, დაბა ხაშურში, დიდი საზეიმო მიტინგი გამართეს...

თორმეტი წლის ტანჯვის შემდეგ ქართველებმა მეორედ იდღესასწაულეს თავისუფლების დღე და ყველა, დიდი თუ პატარა, განურჩევლად ეროვნებისა, აღტაცებით შეყურებდა მუშების მიერ შექმნილ ტრიბუნას და მზად იყო მოესმინა ახალი სიტყვა. მიტინგი გაიმართა ადგილობრივ რკინისგზის ბაღში. ნაშუადღევის სამ საათზე ბაღი და მთელი მიდამო ხალხით იყო გაჭედილი, წითელი ნიშნებით და რევოლუციონურის დროშებით. ტრიბუნას გარშემო იდგა ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცები აფიცრებით, რომელთაც თოფებზე წითელი დროშები ჰქონდათ გაკეთებული. თავსა და ბოლოში კიდევ იდგა ორი ორკესტრი: დეპოს მუშებისა და ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიის მოწაფეებისა“

მიტინგი გახსნა მასწავლებელმა ბ. შალაევმა. თავმჯდომარედ აირჩიეს ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ალექსანდრე მდივანი, ხოლო მდივნად ნიკო იმნაიშვილი. ალექსანდრე მდივანმა მიტინგის მონაწილეებს გააცნო რუსეთში მიმდინარე მოვლენები და ვრცლად შეეხო ადგილზე - ხაშურში შექმნილ მდგომარეობას.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ჯარისკაცების დელეგატი ნიკოლოზ კოლოკოლცევი, რომელიც „მეტად შინაარსიან სიტყვას ამბობს, აქვეყნებს ახალ განკარგულებას ჯარისკაცთა ახალი უფლებების შესახებ და სდებს ფიცს, რომ ჯარი ხალხს აღარ უღალატებს და ბოლომდე ხალხთან ივლის ხელი-ხელ ჩაკიდებული“

მის გამოსვლას დამსწრე საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

მუშათა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სახელით სიტყვებით გამოვიდნენ ნიკო იმნაიშვილი,თეიმურაზ ჭუმბურიძე და კირილე ნინიძე. „სამივე ამხანაგის რევოლიუციონური და მგზნებარე სიტყვები მაყურებლებს ჰხიბლავს, აჯადოებს და დიდხანს, სულ დიდხანს გაისმის „ვაშა“ და „აპლოდისმენტები“. შემდეგ გამოვიდნენ სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ელ. კარბელაშვილი, კონსტანტინე გაგუა, მღვდელი ბაგრატ გიორგაძე და სხვები.

მიტინგმა მიიღო კარლო ჩხეიძისა და დროებითი მთავრობისადმი მისასალმებელი დეპაშების რეზოლუცია. დროებითი მთავრობის დადგენილების შესაბამისად აირჩიეს ხაშურ-სურამის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ მუშათა, ჯარისკაცთა და ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლები.

„საღამოს მეშვიდე საათზე მიტინგი მშვიდობიანად იშლება და აღფრთოვანებული ხალხი ჯარებთან ერთად წითელ დროშით და მუსიკით ქუჩებისკენ გაემართება აღმასრულებელი - კომიტეტი კი იმავე საღამოს იკრიბება თეატრის დარბაზში და არჩევს საჩქარო საკითხებს“ - წერს გაზეთი „ერთობა“.

ასეთივე ხასიათის მოძრაობას ჰქონდა ადგილი გლეხობაშიც. აქაც მაორგანიზებელ როლს სდმპ ადგილობრივი ორგანიზაცია თამაშობდა. „ყველა მოზრდილ სოფელში ზედი-ზედ იმართება მრავალრიცხოვანი კრებები. კრებების ინიციატორად კი უმეტეს შემთხვევაში გამოდის სოციალ-დემოკრატიული პარტია – მომზადებული და გამოცდილის ორატორებით. სოფლის მშრომელი სიხარულით და იმედით მიეშურება კრებაზე - თავისუფალი სიტყვის მოსასმენად. ამხანაგები გასაგები ენით უხსნიან ხალხს დიადი ამბების მნიშვნელობას, ძველი მთავრობის დამარცხებას, ახალი მთავრობის ძალა-უფლებას, მუშებისა და სახელოვანი ჯარის როლს რევოლუციის გამარჯვებაში და მოუწოდებენ სოფლებს მშვიდობიანი და მჭიდრო მუშაობისაკენ. ხალხიც გულდასმით ისმენს ამხანაგ ორატორების ახალ სიტყვას და ხშირად გესმით: „გაუმარჯოს მებრძოლ მუშებს, გაუმარჯოს ჯარს, გაუმარჯოს ჩხეიძეს და ახალ მთავრობას, გაუმარჯოს ერთობას“.

მარტ-აპრილში ყველა სასოფლო საზოგადოებაში გაიმართა კრებები გლეხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ასარჩევად. ამ მოვლენას წინ უსწრებდა 12 მარტს, ხაშურში, ხცისის, ხაშურის, სურამის, ოსიაურის, ქვიშხეთისა და ზღუდრის სასოფლო საზოგადოებების „დიდი და უფრო მნიშვნელოვანი მიტინგი,“ რომელმაც განიხილა რევოლუციის შემდგომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და სათანდო ყურადღება მიექცა სოფლად ახალი ვითარების შესაბამისად მუშაობის შემდგომი წარმართვას. სხვათაშორის, ასეთ მიტინგებში აქტიურ მონაწილეობას თვით გლეხები ღებულობდნენ. ხაშურში გამართულ მიტინგზე ნ. იმნაიშვილის, კ. გაგუას და ნ. სიხარულიძესთან ერთად გამოვიდა გლეხი სოლო ლომიძე, რომლის მიერ უბრალო ენით წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხებზე“.

კრებამ მიიღო რეზოლუცია დროებითი მთავრობისა და კ. ჩხეიძისადმი მისალმებით. აგრეთვე მიზანშეწონილად ჩათვალა სახელმწიფო სამსახურში მყოფი ყველა მოხელის გადაყენება და ანგარიშების ჩამორთმევა, გლეხებს მოუწოდა დაემუშავებინათ მამულები და დაეცვათ სოფლად კანონიერება. ამ მიზნით ყველა სასოფლო საზოგადოებაში უნდა მომხდარიყო გლეხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების არჩევა.

სასოფლო საზოგადოებების კრებების მუშაობა ახალი ხელისუფლების მიმართ მარტო მისასალმებელი რეზოლუციებით არ ამოიწურებოდა. თითქმის ყველა კრებაზე წამოყენებულ იქნა პოლიტიკური მოთხოვნებიც და მოუწოდა ახალ ხელისუფლების მისი გადაწყვეტისაკენ.

მათი მოთხოვნები იყო: პოლიტიკურ პატიმრების სრული ამინისტია საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში გლეხთა წარმომადგენლების საჭიროების აუცილებლობა და სხვა.

რეგიონში როგორც მუშათა, ასევე გლეხთა მოძრაობის ცენტრი ხაშური იყო. „მთელი ამ საზოგადოებისა თუ სოფლების ცენტრად ითვლება დაბა ხაშური და თითოეული საზოგადოებაც ორ წარმომადგენელს გზავნის გადამჭრელის ხმით ხაშურის აღმასრულებელ კომიტეტში. საერთოდ, სოფლები სცდილობენ კავშირი იქონიონ ცენტრთან და ასე განაგონ სასოფლო საქმეები. ხაშური კიდევ თავისი ორგანიზაციით (იგულისხმება სოციალ-დემოკრატიულ მუშაკთა პარტია-თ.ლ.) თამაშობს უმთავრეს ხელმძღვანელის როლს სოფლის ცხოვრებაში და ხაშურელ ამხანაგების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი მწყობრი და ნაყოფიერი მუშაობა სოფლებში დიდი ხანია არ ყოფილა“.

1917 წლის 9 მარტს, დროებითმა მთავრობამ მე-4 სახელწიფო სათათბიროს ადგლობრივი დეპუტატებისგან შექმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი“), რომელიც მის ადგილობრივ ორგანოს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში. მასში სახელმიფო სათათბიროს სხვა დეპუტატებთან ერთად იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე და სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი.

ხაშურის ინტელიგენციაში, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობის დიდ ნაწილში განსაკუთრებით პოპულარული იყო სოციალისტ-ფედერალისტების პარტია და მათ უჭერდნენ მხარს. ამიტომ იყო, რომ ხაშურის, როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა გიმნაზიებმა მისასალმებელი წერილები გააგზავნეს თბილისში კიტა აბაშიძესთან.

ვაჟთა გიმნაზიიდან გაგზავნილ წერილში „მოსწავლეთა ჯგუფი“ აღნიშნავდა: „ხაშურის სავაჟო გიმნაზიის მოწაფეთა სოციალისტ-ფედერალისტური მრავალრიცხოვანი ჯგუფი აღფრთოვანებულია კიტა აბაშიძის, ქართული დემოკრატიის მედგარი დამცველის და ჩვენი ეროვნული სახეობის გამომხატველის, ამიერკავკასიის კომისარიატში დანიშვნის გამო. ჯგუფი მოწიწებით სალამს უძღვნის თავის წარმომადგენელს და დარწმუნებულია, რომ მისის მეოხებით საქართველოს ჰორიზონტზე ამობრწყინდება ნათელი მზე და ჩვენს ტურფა სამშობლოს მიეცემა საშუალება თავისუფლად ამოსუნთქვისა“.

თითქმის ასეთივე შინაარსის წერილი გაიგზავნა ქალთა გიმნაზიიდანაც. წერილში, რომელიც გიმნაზიის მოსწავლეთა „ერთი ჯგუფი“ აწერს ხელს ნათქვამია:

„მრავალტანჯულ სამშობლოს მოამაგის და საერთოდ ყველა ჩაგრულ ერთა უფლებების მედგარ დამცველის კიტა აბაშიძის კვლავ აღდგენამ კომისრის თანამდებობაზე უსაზღვრო სიხარულითა და აღფრთოვანებით მოიგო ჩვენი გული და დაგვარწმუნა, რომ განახლებული რუსეთი არ შელახავს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას“

ხაშურელ გიმნაზიელთა ეს წერილები კარგად მიგვანიშნებენ შექმნილ ვითარებაში მოსწავლეთა ერთი ნაწილის განწყობაზე, სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულებაზე, რაც სხვადასხვა თაობების სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა.

1917 წლის 18 მარტს, თბილისში, გაიხსნა ამიერკავკასიის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის ყრილობა, რომელზეც წარმოდგენილი იყვნენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების, საქალაქო სათათბიროების, სოციალ-დემოკრატიის, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების, დაშნაკების, ვაჭარ-მრეწველთა კავშირისა და სხვა ორგანიზაციებისგან გამოგზავნილი დელეგატები. დაწესებულებებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა თითქმის სრული ნდობა გამოუცხადეს ოზაკომს. ყრილობამ აირჩია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, მაგრამ მან მართვა-გამგეობის ყველა ფუნქცია ნებაყოფლობით დაუთმო ოზაკომს. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღინიშნა, რომ იგი იწონებს რუსეთის დროებითი მთავრობის საქმიანობას და ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ურჩევდა ხელი შეეწყო ოზაკომისთვის.

**თამაზ ლაცაბიძე**

(გაგრძელება იქნება)

# 1818 წლის კამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

(გაგრძელება. დასაწაყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,25,26,31,32,34)

1. გოგია გოგალაძე, მისი ცოლი, ვაჟები: ბუჭული და გრიგოლი, მათი ცოლები, ბუჭულის ვაჟები: გიორგი და სიმონი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, სახნავად მიცემული ათდღიური საბატონო მიწა, ხნავს ორდღიურს, იღებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

2. მამუკა ჭანკოტაძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ივანე. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, 5 სკა ფუტკარი. ხვნა–თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვთ საზრდო.

3. პეტრე ჯოხაძე-აქვს სახლი, ხნავს ოთხდრიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვთ სარჩო.

4. ბერო ბოჭორიშვილი-მოჯამაგირეობს ბატონთან.

8. ანდრო აზანაძე-მოჯამაგირეობს ბატონთან.

9. ანდრო თურმანიძე-მოჯამაგირეობს ბატონთან.

შენიშვნა - ეს სოფელი გაშენებულია წყაროსთან, მურვანიშვლების მიწებზე, ვარგისია 128 დღიური, მწირი -60 დღიური. მცხოვრებთა მთავარი საქმიანობაა მიწათმოქმედება.

წინა აღწერით ამ სოფელში ნაჩვენები იყო ეს გლეხები, რომლებიც ეკუთვნოდნენ აზნაურ ბააკა მურვანიშვილს და არ იყვნენ დაბეგრილები. ახლა კი 6 კომლიდან გადახდა შეუძლიათ: ხორბლის 18 კოდი, ქერის 12 კოდი.

სოფელ ოსიაურში თავად გიორგი ვეზირიშვილის(ოვის) გლეხები

1. ბაღდასარ მეტივიშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: გოგია, დავითი, ნინია და ზურაბი, ქალიშვილები, ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ნაყიდ ოთხდღიურ მიწას, ამას გარდა ხნავს საბატონოს- სულ 12დღიურს, იღებს 150 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 12 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვით ირჩენენ თავს.

2. ნონია ტუსიაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: ქაიხოსრო, როსტომი, ზურაბი და ივანე, ქალიშვილები, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გოგია, მისი ცოლი.

ამ ათ სულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, რისთვისაც იხდის ღალას, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული. ხვნა-თესვითა და დალაქობით აქვს საკმარისი წლიური შემოსავალი, ამას გარდა აქვს ორდღიური ვენახი სახნავი სოფელ სურამში.

3. გოგია დაბრუნდაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები : გაბრიელი, კიკოლა და ბერო, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ნინია, მისი ცოლი, ვაჟი სოსია, მათ ყავთ დედა.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს რვადღიურ საბატონო მიწას ღალით, იღებს 90 კოდ პურს. რქოსანი პირუტყვი 7 სული. ხვნა–თესვით იღებს საკმაო წლიურ სარჩოს.

4. დავით ცაცანაშვილი, მისი ცოლი, ქალიშვილი, ძმისშვილები: ქიტესა, ივანე, სიმონი და თევდორე. ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, 8დღიური საბატონო მიწა, იხდის ღალას, იღებს 90 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა - თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს კარგი წლიური შემოსავალი.

5.ივანე ხაბელაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი გრიგოლი, ქალიშვილები. მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: გრიგოლი, პაპუნა და გაბრიელი, გრიგოლის ცოლი.

ამ ათსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს საბატონო 12 დღიურ მიწას, იხდის ღალას, იღებს 150 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 12 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვით აქვს საკმარისი წლიური შემოსავალი.

6. გოგია ახალკაცი, მისი ცოლი, ვაჟები: პეტრე, ივანე, სოსია და სიმონი, პეტრეს ცოლი, ივანეს ცოლი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 12დღიურ საბატონო მიწას, იხდის ღალას, იღებს 150 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 10 სული, 1 ცხენი. ხვნა–თესვით იღებს საკმარის წლიურ შემოსავალს.

7. ღვთისია ახალკაცი, მისი ცოლი, ვაჟები: დავითი, ბერო, გიგოლა და ნაზარი, ქალიშვილი.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 7დღიურ მიწას, იღებს 80 კოდ პურს,, რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხვნა-თესვითა და მესაქონლეობით აქვს შემოსავალი.

8. ტეტია მაღალდაძე, მისი ცოლი, ვაჟი - გიორგი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: სიმონი და სოსია, სიმონის ცოლი, ვაჟი-კიკოლა, ქალიშვილები.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 8დღიურ საბატონო მიწას, იხდის ღალას, იღებს 90 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვით აქვს საკმარისი წლიური სარჩო.

9.ზურაბ ზღუდაშვილი. მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ბერა და პეტრე, მათი დედა.

ამ ოთხსულიან ოჯახს ბატონთან მოჯამაგირეობით აქვს სარჩო.

10.ზაქარია კორკოტაძე, მისი ცოლი, 2 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა -გლახა, მისი ცოლი, ვაჟი-გიორგი და ქალიშვილი. ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 1,5 (?) დღიურ საბატონო მიწას, იღებს80(?) კოდ პურს. ხვნა-თესვით აქვს საშუალო წლიური შემოსავალი.

11.თევდორე ძამანაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი-გიორგი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: გიგოლა და ბერა.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 5დღიურ საბატონო მიწას, იხდის ღალას, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვით იღებს წლიურ სარჩოს.

ბაღდასარ მეტივიშვილისაგან გაყრილები, პირველი კამერალური აღწერის შემდეგ.

12. გიგოლა მეტივიშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: სამსონი და ფარსადანი, ქალიშვილი.

ეს ხუთსულიანი ოჯახი ეთნიკურად სომეხია. აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ საბატონო მიწას, იხდის ღალას, იღებს 80 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვით აქვს წლიური სარჩო.

13. მიხეილ მეტივიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გაბრიელი. ეს ორსულიანი ოჯახი ეთნიკურად სომეხია. აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იხდის ღალას, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული. ხვნა-თესვით აქვთ სარჩო.

არ არიან ნაჩვენები ძველი აღწერით

14. ღვთისია მახარაშვილი, მისი ცოლი, ქალიშვილი, ძმისშვილები: გიორგი, სიმონი და ზურაბი, მათი დედა, გარდაცვლილ გაბრიელს ყავს შვილები: ნინია, კიკოლა და ბერო, მათი დედა.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 12დღიურ საბატონო მიწას, იღებს 160 კოდ პურს, ნახევარდღიური ნასყიდი სახნავი ვენახიდან იღებს 2 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, 1 სკა ფუტკარი ,1 ცხენი. ხვნა-თესვით იღებს შემოსავალს.

15. თევდორე პაპუაშვილი, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გოგილა, მათი დედა.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ პურს, ხვნა-თესვით იღებს სარჩოს.

16. ლაზარე ჩალაბაძე, მისი ცოლი, ვაჟები: ლუკა და გიორგი, ძმისშვილები:პეტრე და დავითი, მეორე ძმისშვილი-გიორგი.

თავად დავით ჯაფარიძისაგან ნაყიდი

17. დანიელ დავითაშვილი, მისი ცოლი და შვილი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ეწევა მეჩითეობას, ამ ხელობით იღებს წლიურ სარჩოს. ოჯახის ყველა წევრი ეთნიკურად ებრაელია.(დედანში ეროვნებად მითითებულია ოსი, ალბათ იმის გამო, რომ სულ სამი გრაფაა -ქართველი, სომეხი და ოსი-დ.ხ.).

18. აპრეს შახნაზარაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: კარაპეტი, მოსე და გრიგოლი, ქალიშვილი. ეს ექვსსულიანი ოჯახი ეთნიკურად სომეხია. ოჯახს აქვს სახლი, ხნავს რვადღიურ საბატონო მიწას, იხდის ღალას, იღებს 100კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 13 სული, 1 ცხენი, ეწევა მჭედლობას, აქვს საკმაო წლიური შემოსავალი.

19. გაბრიელ არუთინაშვილი, მას ყავს ცოლი, ვაჟი-ფარსადანი, ქალიშვილი, გარდაცვლილი ძმის დანიელის შვილები: ივანე, ბაბა და პარუირი. ოჯახის ყველა წევრი ეთნიკურად სომეხია.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, 1 სული რქოსანი პირუტყვი, მეჩითეობით ღებულობს, წლიურ სარჩოს.

20. სარქის ბადალაშვილი, მისი ცოლი. ეს ორსულიანი ოჯახი ეთნიკურად სომეხია.აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ საბატონო მიწას ღალით, ირებს 70 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვით აქვს კარგი წლიური სარჩო.

თავად გიორგი ვეზიროვის ცოლის მზითვი

21. გიორგი შევარდენიძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ნინია. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვით აქვს წლიური სარჩო.

22. პეტრე შავპეტრიაშვილი, გიორგი, მახარობელი ,დათიკა ქურდაძე, მოსამსახურე(ქალ.)

ბატონთან მოჯამაგირეობით აქვთ სარჩო.

თავად ელიზბარ თაქთაქოვის სოფ. ცხრამუხიდან გადმოსული გლეხები

1 სოსია ლაცაბიძე, მისი ცოლი, ვაჟები: სიმონი, გიორგი, გაბრიელი და კიკოლა, 2 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ბერო, მისი ცოლი, ვაჟები: ლაზარე და ზურაბი, დედა.

ამ 13 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს თავად გიორგი ვეზირიშვილის 8 დღიურ მიწას, იხდის ღალას, იღებს 100 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, ხვნა-თესვით იღებს საკმარის წლიურ შემოსავალს.

პოლკოვნიკ ივანე ჯარიევის ძირძველი გლეხი, რომელიც არ იყო ნაჩვენები წინა აღწერით.

1. გაბრიელ ფხიკიძე, მისი ცოლი, ვაჟი ხვთისია, მისი ცოლი და 5 ქალიშვილი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს თავად გიორგი ვეზიროვის 8დღიურ მიწას, იხდის ღალას, იღებს 100 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი. ხვნა–თესვით აქვს სარჩო.

თავად ივანე დავითის ძე აბაშიძის აზნაურის გაბრიელ სავანელოვის გლეხი ერმილე ორთოიძე, ქვრივი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: საბა, თამაზი, გიორგი და თევდორე, საბას ცოლი, მათი ქალიშვილი.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს თავად ვეზიროვის 7დღიურ მიწას, იღებს 80 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7 სული, ეწევა ხვნა-თესვას, რითაც აქვს საკმარისი ქონება.

შენიშვნა- ეს სოფელი გაშენებულია მდინარე სურამულასთან და წყაროებთან საკმარისი წყლით, მიწები ეკუთვნის თავად ვეზიროვებს, სახნავად ვარგისია დაახლოებით 300 დღიური,

რომელთა შორისაა სათიბი ადგილებიც, მწირია 30დღიური, ტყე 1500 დღიური, 1 კოშკი, ერთმუხლიანი წისქვილი, რომელიც ეკუთვნის თავად ვეზიროვს, 1ვენახი. მცხოვრებთა მთავარი საქმიანობაა მიწათმოქმედება და სხვა სამუშაოები.

წინა აღღწერით ამ სოფელში ნაჩვენები იყო საბატონო გლეხების 10 კომლი, რომელთაგან ნახევარი იხდიდა სურსათს თავად ვეზიროვის გლეხებს შორის, მეორე ნახევარი კი დაბეგრილი არ იყო. ახლა ამ სოფელში მარტო საბატონო გლეხი არის 25 ოჯახი, რომელთაგან გამოსაღები შეუძლია გადაიხადოს, გარდა ორი უსახსრო და ორი მოჯამაგირედ მყოფებისა, 18 კომლმა, ხორბალი 54 კოდი, ქერი 36 კოდი, თავად ელიზბარ თაქთაქიშვილის 1 კომლს-ხორბალი 3კოდი, ქერი 2 კოდი, პოლკოვნიკ ივანე ჯარიევის 1 კომლს ასევე, აზნაურ გაბრიელ სავანელოვის 1 კომლს ასევე. თავად სოფელ ხაშურში თავად მამუკა ხიდირბეგოვის ყოფილი გლეხები, ახლა ეკუთვნიან მის შვილიშვილებს: დავით და დიმიტრი ხიდირბეგოვებს

ბერი(ა) ქიტიაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: ბეჟანი, სოსია და რამაზი, ქალიშვილი, ბეჟანის ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: შიო და თევდორე, შიოს ცოლი, ვაჟები: პავლე, გლახა, გიორგი და სიმონი.

აღწერისას თავადმა ვეზიროვმა განაცხადა, რომ ეს გლეხი ეკუთვნის მას, ძველი აღწერით იგი ნაჩვენები იყო მის გლეხებში, მას მიაკუთვნა იგი სასამართლომ.

ამ 14სულიან ოჯახს აქვს სახლი, აზნაურ სოლომონ ხეროდინაშვილისაგან ნასყიდი ოთხდღიური მიწა, იღბს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვით იღებს საკმარის წლიურ სარჩოს.

ზემოაღწერილი ქიტიაშვილისაგან გამოყოფილი(ძველი გადაწყვეტილებით)(?)

2. დათუა ქიტიაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი სიმონი, ქალიშვილი

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, მიწა აქვთ ზემოაღწერილი (удел)(საუფლისწულო, სამთავრო). ამას გარდა ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას ღალით, იღებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული. ხვნა-თესვით აქვს საკმარისი წლიური სარჩო.

3. ზურაბ ქიტიაშვილი, მისი ცოლი. ამ ორსულიან ოჯახს მამული აქვს სამთავრო(?) დათუნა ქიტიაშვილთან ერთად, ხვნა-თესვით აქვთ საშუალო წლიური შემოსავალი.

4. შიო რაზმაძე, მისი ცოლი, შვილები : გიორგი და ღვთისია, გიორგის ცოლი, მათი ქალიშვილი, ვაჟი სოსია, ძმისშვილი პეტრე

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, სურამის მცხოვრებ სახაზინო გლეხ უმიკაშვილისაგან ნასყიდი ოთხდღიური მიწა, იღებს 40 კოდ პურს. რქოსანი პირუტყვი 5 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვით იღებს საშუალო წლიურ შემოსავალს.

5. სოსია ბოლოკაძე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: დათია, ნინია, ზაქარია, სიმონი, გაბრიელი.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური სახნავი, ხნავს სამდღურს, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7 სული, ხვნა-თესვით იღებს კარგ შემოსავალს.

6. ივანე ქურდაძე, მისი ცოლი, ვაჟები: დავითი და სიმონი, ქალიშვილი. თუმცა ამ გლეხებმა განმეორებით აღწერისას განაცხადეს, რომ ისინი დოკუმენტებით ეკუთვნიან საეკლესიო უწყებას. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, რვადღიური სახნავი საბატონო მიწა, იხდის ღალას, ხნავს 5დღიურს, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი , ხვნა-თესვით აქვს შემოსავალი.

7.გიორგი ქურდაძე, მისი ცოლი, ვაჟი გლახა, ქალიშვილი( მინაწერი-ძმისშვილები: სიდამონი და სოსია.-დ.ხ.)

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება იქნება)

# დიდი ოცნებებით და პატარა სურვილებით...

როდესაც ვესტუმრე, სოხუმიდან დევნილი აგრაფინა ბებო, მეზობელ მორთულასთან ერთად, სერიალს უყურებდა და მთხოვა, ცოტა ხანი დავლოდებოდი, რადგან ფილმი მალე დასრულდებოდა... ფილმის სახელით დავინტერესდი, რა ჰქვია - მეთქი და მიპასუხეს, არ ვიცით, ჩვენ „იჩიტას“ ვუძახითო. ხელნაწერი რვეული მომაწოდა, მანამდე ეს წაიკითხე და მითხარი, თქვენთან, გაზეთში დაბეჭდვა თუ იქნება შესაძლებელიო. შევპირდი, რედაქტორს დაველაპარაკები მეთქი...



სანამ სრული ვერსია გაზეთში დაიბეჭდება, ვრცელი ნაწერის პატარა ამონარიდებს გაგაცნობთ:

„...ხალხი ტოვებს თავის სახლ-კარს, მიდის საით არ იცის,
მოხუცი თუ ახალგაზრდა, წუხს, ჯავრობს და განიცდის...
...იქ, სვანეთშიც ბევრი კვდება, შიმშილით და სიცივით,
ჩვენი მტერი სოხუმში კი უსირცხვილოდ იცინის....
...დიდი ტანჯვა და წამება ხალხმა გამოიარა,
ბევრი მოკვდა, ბევრსაც დარჩა სამუდამო იარა...“

სერიალი რომ დამთავრა, აგრაფინა ბებომ ამიხსნა, რომ ეს ნაწერები მის მაზლის შვილს- მერაბ ხარაიშვილს ეკუთვნოდა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს ასახავდა. მერაბის მამა, სოხუმში, საკუთარ ეზოში დაუხვრეტიათ...

აგრაფინა ბებო, სინამდვილეში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაცარგორაში ყოფილა დაბადებული, 22 წლის სოხუმში გათხოვილა და და უკვე 52 წლის დევნილი დაბრუნებულა მშობლიურ ქალაქში. აგრაფინა ბებოს და ჰყოლია სოხუმში გათხოვილი, სტუმრად ჩადიოდა ხოლმე და მომავალი ქმარიც სწორედ იქ გაუცნია. მთელი 20 წელი, სოხუმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უმუშავია, შემდგომ სამშობიარო სახლში, ოთხი შვილი ჰყოლია: ორი ბიჭი, ორი გოგო, სოხუმში კარგი სახლი ჰქონია, მერე, რადგან ორი ბიჭი ჰყავდა, მეორეც აუშენებია, იმ იმედით, რომ საახალწლოდ, უფროსი შვილი ახალ სახლში გადავიდოდა, მაგრამ ომი დაიწყო და არ



დასცალდა...

-იქ ცხოვრების პერიოდში, არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა აფხაზებთან, მუშაობისას, საჭმელს, ერთი ჯამიდან ვჭამდით-დაიწყო აგრაფინა ბებომ იქაური ამბების მოყოლა- 1989 წლიდან, ქართველების მიმართ, რაღაცნაირად ცვლილებები შეეტყოთ, თუმცა, იმ ეტაპზე თავი შეიკავეს, მერე, როგორც ჩანს, წაქეზებაც მეტი ჰქონდათ, მხარდაჭერაც და... შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, ტერიტორია არ დამიტოვებია, თავიდან, სოხუმში კონფლიქტი ნაკლებად იგრძნობოდა, ჩემს საქმეს განვაგრძობდი და მჯეროდა, სიტუაცია მალე ჩაწყნარდებოდა. ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ იყო, ამიტომ იმ პერიოდში გადაადგილება ფეხით გვიწევდა. ამასობაში, სოხუმის გარშემო არსებული ტერიტორიის ოკუპაცია მოხდა და სოხუმსაც მოადგნენ. ქალებს და ბავშვებს ტერიტორიის დატოვება მოგვიწია, კაცები ადგილზე დარჩნენ და თავისი სახლ-კარის დაცვა დაიწყეს. სამანქანო გზა ტრანსპორტით გამოვიარე, მერე კოდორის ხეობას მივადექი და იქ დაიწყო საშინელების ათი დღე...მოგვისწრო თოვლმა, ყინვამ, ადამიანები ფეხშიშველები იყვნენ წამოსულები, მე ოთახის ჩუსტები მეცვა, ფეხი საშინლად მისრიალებდა, გზად, ორმოში ჩავვარდი, მთლიანად დავსველდი და მომდევნო დღეებში, ასე სველს მომიწია სიარული, ხანდახან სამხედროებს ვხვდებოდით, რომლებიც ცეცხლს ანთებდნენ და ვთბებოდით. ჩვენც, ზოგს, პური გვქონდა, ზოგს-ღერღილი და ერთმანეთს ვუნაწილებდით, ზღვა ხალხი მოვდიოდით ერთად... ბევრმა სიცივეს, შიმშილს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა... მახსოვს ერთხელ თვითმფრინავმა პურები ჩამოგვიყარა, იმხელა შვება იყო ჩვენთვის...ცოტა შაქარი მქონდა, ვაყრიდი პურს და ცოტა ძალას მაძლევდა. ტყეებში რომ მოვდიოდით, ერთხელ ვერტმფრენი გადმოფრინდა, ქალები, ბავშვები და მოხუცები წამოიყვანა, მერე გავიგეთ, ის ვერტმფრენი ჩამოვარდნილა და ყველანი დაღუპულან... იქიდან ბევრი ჩემი მეზობელი, ნათესავი და ახლობელი იყო... ჭუბერიდან უკვე ავტობუსებმა წამოგვიყვანეს და სხვადასხვა ქალაქში გაგვანაწილეს, რადგანაც ხაშურელი ვიყავი, მე აქ ჩამოსვლა ვარჩიე, თავიდან, დაბა სურამში, ყოფილ სანატორიუმ „მზიურის“ შენობაში მივედით. ანტისანიტარია კი იყო, თუმცა, ამას არავინ დაეძებდა, იქვე მუშაობდა სასადილო, კეთდებოდა საჭმელი და გვკვებავდნენ, დამშეული ადამიანებისთვის, ეს დიდი შვება იყო. მოგვიტანეს, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული, ღუმელი და შეშა, რომ გავმთბარიყავით. მგზავრობაში ფულს არ ვიხდიდით... მერე საცხოვრებელ ოთახში კედელი ჩამოინგრა და ხაშურში გადმომიყვანეს.



აქ სულ დევნილები ვართ, მორთულა სამაჩაბლოდანაა, ზნაურის რაიონის სოფელ თიღვადან.

-ისეთი მადლიანი სალოცავი გვაქვს ჩვენს სოფელში-ვერ მოითმინა მორთულამ და საუბარში ჩაგვერთო-ამ ხნის ქალი ვარ და ღმერთს ვევედრები, ერთხელ კიდევ შემიყვანა იმ სალოცავში და სანთელი დამანთებინა...

- დევნილი ადამიანები, აქ, დროთა განმავლობაში, ასე თუ ისე, მოეწყვნენ- გააგრძელა აგრაფინამ- თუმცა, პირად საუბრებში, ყველა დაბრუნებაზე ოცნებობს და იქაური სურნელი ენატრებათ... ყურადღება არ გვაკლია, ახალ წელს, აღდგომას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს მოაქვთ საკვები. სასმელი წყლის პრობლემა გვქონდა და ესეც მოგვიგვარეს, უკვე 82 და 85 წლისები ვართ, ჩვენი ტოლი, თითქმის, აღარავინ დარჩა. ჩვენი დიდი ნატვრა-საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაა.

პატარა თხოვნას რაც შეეხება, ბინის გარშემო არსებული ტერიტორიის შემოღობვაა, რადგან ხშირად უცხო ადამიანები მოდიან, რომლებიც გარემოს უდიერად ეპყრობიან და მერე ტერიტორიის დასუფთავებას ვერ ავუდივართ...

საუბრის ბოლოს, მეც მქონდა მათთან თხოვნა, გარეთ გამომყოლოდნენ, რომ ერთი სამახსოვრო ფოტო გადამეღო და თქვენთვის კარგად გამეცნო ისინი...

თათია ძინძიბაძე



ოქროსფერი შემოდგომა ხაშურის მუნიციპალიტეტში. სოფელ სათივის ხიდი მდინარე მტკვარზე.
მ.სალაღაიას ფოტო



მას შემდეგ, რაც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დიდი ძალისხმევით, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა, ეს ობიექტი არა მარტო ტურისტულ ღირსშესანიშნაობად, არამედ მომავალი თაობისთვის საგანმანათლებლო კერად იქცა. მუზეუმი ყოველდღე მზადაა დამთვალიერებლებს უმასპინძლოს. წელს, მუზეუმი ახალი ექსპონატებითაც გამდიდრდა და მნახველს უფრო სრულყოფილ შთაბეჭდილებას უქმნის დიდი მამულიშვილის, ერის ქომაგის და მოამაგის წმინდა დიმიტრი ყიფიანის შესახებ.

D

ოლეგ ლაცაბიძის ხსოვნას

## გემშვიდობებით, ძმაო ოლეგ!

დაგვედარდება და ვდარდობთ შენი ამქვეყნიდან გადასვლას მარადიულ სასუფეველში.

სიყმაწვილიდან მოყოლებული მუდამ გვემახსოვრები, როგორც უნიჭიერესი, ბობოქარი, არაორდინალური ადამიანი, რომლის აზროვნება ყოველთვის უსწრებდა დროს, ქართული ტრადიციული ოჯახის შვილი, ასევე მეუღლე, მამა და ბაბუა.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში დიდად აფასებდნენ შენს ღვაწლს ხაშურის საფეიქრო საგალანტერიო და ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკების გაშვების საქმეში და ეს მარტივი არ ყოფილა.

სიახლეებთან და სიძნელეებთან შეჭიდება იყო შენი ჰობი, უფლისაგან ხელდასმული კაცი იყავი და ცხოვრების ქარიშხალს მარტო უმკლავდებოდი..

ხაშურის პირველი საკრებულოს წესდებაც ხომ შენ დაწერე. ექსპერტებმა, რომელთაც შენი მოხსენება მოისმინეს თვითმმართველობის საკითხებზე სადისერტაციოდ შეაფასეს იგი.

აქტიური იყავი რაიონის საკრებულოს მუშაობაში, როგორც მდივანი, როგორც ქალაქის მერი. გამგებლის მოადგილედ ყოფნისას თავი გამოიჩინე როგორც საქმიანმა, სამართლიანმა და პრინციპულმა პიროვნებამ.

ბოლო წლებში შენი უმოქმედობა იყო ქალაქისათვის და ქვეყნისთვისაც დანაშაული...

დიდი ტკივილით გემშვიდობებით, მეგობარო.

ჯგუფი 759

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი, თანაგრძნობას უცხადებს მე-7 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ მანანა მედოიძეს მეუღლის,

ოლეგ ლაცაბიძის

გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.